საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №59/ნ
2013 წლის 31 მაისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით (სსმ III, 15.09.2010 წ., №117, მუხ. 1733) დამტკიცებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. მე-2 მუხლის „კ“ და ,,ლ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. მე-3 მუხლის „$კ^1$“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,$კ^1$) ამოწმებს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის - განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ენობრივ სისწორეს;“.

3. მე-3 მუხლის ,,$პ^7$-$პ^9$“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

4. მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია, სამსახურის ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის ფუნქციად განსაზღვროს სამსახურის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული კორესპონდენციების განაწილება, კორესპონდენციებში დასმულ საკითხებზე გადაწყვეტილების დროულად მიღების უზრუნველყოფა, მათ შორის, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციას მიკუთვნებულ კორესპონდენციაზე ხელმოწერა. ცენტრის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, ან მისი მოადგილის მიერ განხილულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში.“.

5. მე-9 მუხლის ,,ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ო) ამოწმებს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის – განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ენობრივ სისწორეს“.

6. 11^1 მუხლის ,,მ“ და ,,ნ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი — **გიორგი მარგველაშვილი**